მათრახი

იუმორისტ. ჟურნალ

№ 7

გამოვა ყოველ-კვირაობით, თუ ჩვენი კორესპონდენტები ხელს შეგვიწყობენ. მისამართი: Тифлисъ, Типог. Шрома, «Матрах

მოულოდნელი მარცხი.

ს ი მ ღ ე რ ა (მოზრდილი ურმისა)

დიდი ხანი ვაქანებდი,
მე ამ საქანელასაო,
და სიამით ვღიღინებდი:
„ოდელია დელასაო“.

იქაც ვიყავ, აქაც ვიყავ,
ვახარებდი ყველასაო,
მე ჩემს დღეში არ შევყრივარ—
აძისთანა ბელასაო:

ულოდნელად მომივიდა,
ცოტა მარცხის მაგვანიო,
გამიფუჭდა სათამაშო,
მოზრდილების აკვანიო!

წაველი და დიდ წუმპეში
გავადინე ტყაპანიო,
მაგრამ პრესას ხომ მივეცი—
საკამათო საგანიო?!“.

მათრახოსანი.

გული არ ტუდება.

თუმც არ იქნა, ცხოვრების ცას
გაშუქება არ ეშველა:
მზე ტყვეთა ჰყავთ შავს მთას იქით
და აქ ბარში ისევ ბნელა.
მაინც ვუვლი გულის წალკოტს,
შიგ იმედი ისევ ყვავის,
არ ვნებდები ბედით ყორანს,
საზარი ხმით რომ დამჩხავის;
ვეღარ მაკრთობს ჯოჯოხეთის
მრისხანებით სავსე ქშენა;
რაღაც ძალამ „რწმენის ციხე"
გულში მტკიცეთ ააშენა!
შიგნიდან ის არ გატყდება,
გარედან თვით ვდგევარ მცველათ,
და მიზანსაც ნდომის რაში
წინ გაიტანს, უეჭველათ!
ჟამს მწუხრისას სევდის სიო
დაჰსისინებს მინდორ-ველსა...
რათ გალაღდა?.. უხარიან
რომ სიკვდილი იქნევს ცელსა?!
ჟამს ცისკრისა ის უგნური
სად გაითხრის, ნეტა, საფლავს?
განთიადის ნიავი მას
არ დაინდობს, უღვთოთ ჩაჰკლავს!..
და ჩემს გულში „რწმენის ციხე"
მიუვალი, მაგარია!
შიგ იმედი უცხოთ ჰყვავის,
ციხეს წმინდათ აბარია.
განთიადზე ფრთებს აიწყობს,
სალამს სტყორცნის მზისა სხივებს
და ის შუქი გამოუხმობს,
გედებსა და გმირ-არწივებს!
დიახ!.. გული კი არ ტყდება,
შიგ იმედი უცხო ჰყვავის,
არ ვნებდები ბედით ყორანს,
საზარი ხმით რომ დამჩხავის!..

ნ. ზომლეთელი.

ვირი და ბუ

იგავისებური.

(დასასრული.)

მოისმინა ვირმა რა ეს,
შეებრალა მას ბუ ძალზე,
ნუგეში სცა და შემდეგ-კი
შეეკითხა თავის თავზე.

— ლოდ, გულ[illegible], ეული ყველაც
მეფე იყო ცხოველთაო,
დიდი თავის მქონე გმირი
ჰპატრონობდა ყოველთაო,
მარა მასაც წილად ხვდა
დაღუპვის და შავის დღენი...
ერთ მისს ერთგულ ბედაურსა
შეუყვარდა ჭაკი ცხენი.

თავის სატრფოს სილამაზით
ბედაური ამაყობდა,
თავმომწონეთ ფაფარს შლიდა,
ყურს აცქვეტდა, ტორებს სცემდა ..

ბედაურის ასეთ ალერსს,
რა თქმა უნდა ჭაკიც გრძნობდა,
აეტუზა გვერდით ვაყას
და სულ მასთან ბალახობდა...

სწორედ ამ დროს იმ ვირ მეფემ
მოისურვა სეირნობა
და რომ უკან გაჰყოლოდენ,
სხვა ვირებსაც მისცა ცნობა.

წამობრძანდა ვირი მინდვრად
და რომ ჭაკთან ვაყა ნახა,
შეეშურა...და დიდის ხმით
მან ბედაურს შეუძახა:

—ვით გაბედე შენ წუნკალო
უზრდელობა, რას ჰგავს ესო?
გირჩევ, ეხლა, ამ წამშივე,
ჩამოშორდე მაგ ჭაკ ცხენსო!

— უკაცრავათ, უთხრა ვაყამ—
თუმცა მეფე კი ხარ დღესო,
ღმერთიც იყო ვერ დაგითმობ
სატრფო არის ჩემი ესო...

ვირი მეტად გაგულისთა:
თავზედობას ვით ბედავსო!
და თვის მხლებელს შეუყვირა:
„არ გაუშვათ, ჭკათ მაგასო!"

ბედაურმა ნიშნათ ომის,
მაგრათ დაჰკრა მიწას ტორი,
მიაშურა ბატონ ვირს და
უთავაზა ერთი-ორი..

გულ მოსულმა ბედაურმა
მარტო ესეც არ იკმარა,
სხვა ვირებსაც მიაყოლა
და ყველანი ძირს დაყარა...

და ცხოველთა, მეორე დღეს
გაიგეს, რა ეს ამბავი—
ყოველი კუთხით მოგროვდენ,
მოიყარეს ერთად თავი.

მიესივნენ იმ ვირ მეფის
სასახლეს და დაანგრიეს,
მერმე ვირებს დაერივნენ,
სულ ერთბაშათ დაარბიეს.

შემდეგ ერთ ხმათ გადასწყვიტეს,
რადგან იყვნენ ყველი მდომი,
მხეცთა მეფეთ, სამუდამოდ,
დააბრძანეს მძლავრი ლომი.

და მას შემდეგ, იმ ვირების
შთამომავლობა და ძენი,
სახედრათ და სამუშაოთ,
გლეხებსა ჰყავთ შენაძენი.

ასე იყო მეგობარო
ეს ამბავი ძველის ძველი
და ეხლა-კი აბა მათგან
რა სიკეთეს გამოელი?

თუ გიპოვეს დრო და ჟამი,
რა თქმა უნდა დაგლეჯავენ...
დასაჭერათ შენთვის იმათ
შეჩენილი ტურა ჰყავენ.

და ეს ტურაც დღე კი არა,
ღამ-ღამობით გდარაჯობსა
და აწ კმარა რაც გიამბე
გირჩევ დროზე წასვლა სჯობსა!..

მხოლოდ ზურგით შენ მატარე,
გზას კი გამოვნახავ მეო
და ამ რიგათ მეზავრობაზე
ფუქრი ნუ გაქვს, იყავ მხნეო.

დაასრულა, რა ეს ყველა,
ბუ ვირს ზურგზე დაფრინდა
და მისძახა: გავსწიოთო
თავის შველა თუ რომ გინდა.

დაეთანხმა ვირი რა ბუს,
გაემგზავრნენ ნელა გზაზე,
ცუტა სიარულის შემდეგ
ზღვ მიადგნენ ერთ დიდ ხრამზე.

შეეშინა, შეკრთა ვირი,
უფსკრულ ხრამს რომ გადახედა,
ფრთხილად უკან დაიხია,
ახლოს დგომაც ვერ გაბედა.

და ბუს უთხრა: გზა არ ვარგა,
საძაგელი ხრამიაო,
ერთი ფეხიც რომ გადავდგა,
დავიმტროვი ძმიაო...

ბუმ მიუგო: ნუ ხარ ბრიყვი,
რაც არ იცი ნუ ამბობო,
მშვენიერი გზაა ეს გზა,
და შენ ტყვილად რისთვის გმობო!

— არა ძმაო, — უთხრა ვირმა, —
გზა აქ სულაც არ არიო,
დასამტროვი ჯურღმულია,
ჯოჯოხეთის მაგვარიო.

მარა ბუ ვირს არ მოეშვა:
ბრმა ყოფილხარ ცხადიაო,
ანუ მხდალი უსაზომო,
თორემ გზა კი კარგიაო!..

შერცხვა ვირს და გაიფიქრა, —
სწორედ ჩემი თვალებიო
მატყუელებს, თორემ ნუ თუ
ბუს არ შევებრალებიო!

ამ ფიქრებით განაგრძო გზა
და რომ გადავარდა კლდეზე...
ბუმ-კი სწრაფად ფრთა ჰკრა ფრთასა
შემოჰფრინდა იქვე ხეზე.

და როს ვირი ძირს დაეცა,
თავ-ფეხ ცხვირ-პირ დამტვრეული,
სასიკვდილოდ თავი იცნო,
წაუვიდა საწყალს გული,

მარტოს სული ეყრებოდა
და ბუ გვერდით ვედარ ნახა,
სხვა ვირების გასაგონათ
საოცარ ხმით შემომოსძახა:

„ვაი იმას, ვისაც არ აქვს
თვისი თავის გაგებაო,
დღეს ერთის ნახავს მიენდობა,
ხვალ სხვის სიტყვას აპყვებაო...
რა თქმა უნდა ისიც ჩემებრ,
კლდეზე გადავარდებაო!

ამისათვის ვურჩევ ვირებს,
რომ ბუს რჩევას და სხვის ხმებსო
ნუ ჰყვებიან, თორემ შემდეგ
დასწყევლიან ჩემებრ ბედსო!..

ირ. გოგოლაძე.

ხმა ნაძალადევიდან (თბილისი)

რომ იტყვიან: „უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულია“, სწორედ ნაძალადევის თეატრზეა ზედ გასმაწრდილი. კაცის ჭკუა-გონება ვერ მოიგონებს უკეთესობას რა მდგომარეობაშიაც არის დღეს ნაძალადევის თეატრის საქმე, მაგრამ მტერს არა სძინავს, ეს სიკეთე სიავეთ უნდა გამოიყენოს და ბაკი თეთრად უნდა დასნახოს სასზოგადოებას!.. კანა წარმოსადგენია რომ ამისთანა მოამაგენი და სასზოგადო მოღვაწე პირები, როგორიც ბრძანდებიან ი. ფ. და კ. ც. მადლიან საქმის სათავეში იყვნენ ჩამდგარნი და ჩარხი უკუღმა დატრიალდეთ? არა ვი ენების მოგონდეა!— ვ ენას უნდა თეატრის მოამაგე მამები მამინაცვლად დასნახოს სასზოგადოებას და მით

ნიჩქა მოსცხოს მსთ სახელს, კაზეთებშიაც ხომ კამოაცხადეს რომ სახოგადო კრება იქნება მოწვეულთა; ეს რომ არ მოხთა რა ამათი ბრალია? ხომ მოწვეულის ბარათები ამობეჭრებულმა ქარმა სედიდან წართოა დამტკრეულს რამოდენიმე ცალი და დანარჩენი კიდეგე ფეინის სარდაფში დაყოფილა, ეს რა მოთხეეების ბრალია?! წარმოდგენებიდან კიდეგე ამოდენა ფული შეუარეფიათ რომ არ იცით რომელ ბანკში მოთოგსონ და ამისაც კი შიმობენ ეზაში ანაგინ წართოვან; სიდიდთხედეს თავი არა სტკივა ხომ კაკიკინთათ ვინაკანმე და სწორედაც ფერთხედნი ბრძანდებიან თეატრის მოზეინსხეფენიც... რეკისორი კაქმეცოთ რა არის რომ კაქეცთ—იქნებ კეფი ამძიმებდა, რომ მოიინელა აკი ისეე დაუბრუნდა თეატრს?! თუ ამ კეფრას არა ერთი თვის შემდეგ ხომ კამართა სიფხოფო წარმოდგენები „ორი ობოლი“ და შემდეგ ქიდე დასდგა „სოფლის ეზირები“! ეგ ენებმა კიდეგ კანამეორეს „ბენრიეტა ფეინა“ და აკრეფეგ „ანიკო“ ცეფლთ შესასრულეს!.. რა კასკეკრეფლია ამ სალხის შეხედულება, ეფეალ კარკთ რომ ითამაშონ მეშრე ცეფლი მოთამაშენი სიათ კაფსტერინენთ! ნამეტანთ ამისთანა მოთამაშენი, რომელებიც ერთი ოეე სწაფლობენ რადენს ანა მოთხართ ამ მოკლე ხანში როკორ ენდა მოამზადონ? ეგ მახდას. იმასაც-კი ამბობენ ბ. ტ-მ მოთამაშენი შეურაცხეო ეწმაწური სიტეეებით და მაამენებიც კი ენოდო. ეგ ენებს დაფოწყებთ, რომ ბ. ტ-ს ამ დროს ბახეესის ფმერთი ეკმეფლა სეკენდა, ამგვარ დამნაშაფეს ოფთ მიმრიგებელი მოსამართლეც კი შედგეთით ექმეკეა და თქვენ ბ-ნნო მოთამაშენო ამ შემთხვევაში ერიდეთ, თორემ ოფ კაკარდა მთელ დეკორაციებს სეფ მიაკერ-მოატეკრეს...

კიდეგ ხმას აკრცდებენ—რეკისორი მოთამაშე ქადგებ კარმეეებთ—ეს ხომ ასე ენდა ეფოს, რეკისორმა წინთოგე ენდა შეაჩვინოს მოთამაშე ქადგები არშეეოთბას, რომ ეს მოქმედება ფეექტურად კადეგდეს სტენაზე და ეს აუტიდენდობაა! ასეთია ბ-ბო დღეს ნაძადადეკეეს თეატრის კამეკოთის მოქმედება:

ჩემი რეკეზიით ეკრანეკი ცეფლი ენახე კომეკეობის მოქმედებაში, მხოდოთ ვიტეკეი—თუ ეს ასე ბოდოთმდის კაკრძედდა უეშეკედა თეატრის საქმე სამდამოზ „აკეკედება“.

შუშხუნა.

სევდიანი კუალეტები.

(გულის ალბომიდან).

ეჰ დროებავ, ულმობელო!
რად გამწირე აგრე სრულად,
რომ ეს გული ვერ ისვენებს,
მუდამ არის გაბასრულად!..

ვინც მე მიყვარს, მას უყვარვარ—
იგი ჩემთან არის შორათ,
ის იქ დარდობს, მე აქ ვსწუხვარ—
ვიტანჯებით თანასწორათ!..

* * *

ეჰ დროებავ, უკუღმართო!
აგრე რიგად რად გამწირე,
რომ ვიკაცი, ლონით სავსე—
დამასუსტე, ამატირე!

სხვას ვერ ვეტყვი მე ჩემს დარდებს—
რა მაწუხებს, რა მღონებს
და რომ უთხრა—განა ვინმე,
რამე ნუგეშს გამაგონებს?..

დარდიანიძე.

გოგია და პაველია.

(ორი ეშმაკები.)

გოგია. პაველიავ შავ და რაფერ დაგვეკარგე ჩოვ ხორცათ! ღალაობა ხომ არ იშონე ქუთაის?

პაველია. ღალაობა იგენს ქონდეს და იმისანა გაფიცვები კი მოვაკვარაპენეთ ქალაქებში ძმავ, რომ ცხონებული ახალთაობის დროი მონგონი არ იყო.

გოგ. შენ გაზეთებში თუ რამეა ახალი იგი მითხარი ძმიოუ, თვარა გაფიცვაზე ამგვარსაზ ჩვენც ჩახმახიანი ვართ მოწკაპული მემამულეებთან.

პავ. გაზეთებში რაი ყარდაში, ამას კი შეიტყობდი გომართელს რომ გამოაჩინთა ნაშუშხი და პარტიიდან ზე გუუძახეს.

გოგ. რას ხუმბრობ ჩოვ! იგიც მიემატა მამულიშვილებს!

პავ. რავა ყაზილარსავით ჩიკი?! დასტურ ოლა კი არ გახულიგანებულა. რაცხა ეროვნულ საკითხ-

ზე გადიექანა. დასურ გომართელზე გამახსენდა, აგი რაფერაა სანაგვე „ერის“ კლოუნი რომ ციგნობს: ვადაჰკორია, ჯორბენაძე და ქყონია გომართელს დაჰქყანვიან—შენ უაქიმე ხალხს და ჩვენ ფულებს ავიღებთო. მერე ვითომ გომართლის ჩუმათაი ღარიბებიზაც ფულები გარდუუხთევინებიათ, სამკითხველოიზა რამდენი გადადებულა და რამდენი ჯიბეში ჩაეებულა, გელოვანის ნორჩი პარლამენტიც ვეფერს გაიგებსო!

გოგ. ძამიავ კვირიკეს და მის კორესპონდენტის ნორჩი ტვინი ვერ გაიგებს თვარა ჩვენ გაგებულიც გვაქ და დამტკიცებულიც. იგენი არა თვითონ გომართელი დიექყანა ვადაჰკორიას და ჰქყონიას მოგვეხმარეო, ჯორბენაძეს გზათ არ გაუარია, ჰქყონია ერთ დღეს ტყულაი ნომრებს სწერდა ფულებიზა თითი არ მიუწეწებია, ვადაჰკორია კი იმდენს ხანს ტყულათაი ეხმარებოდა. მანეთის და ათი შაურის გადახთიება გომართელის ბრძანება იყო და რამდენი ღარიბები უფულოთ გეისინჯა ჩეკით დამტკიცდა. დარჩენილი სამას ოცდაშვიდი შიშველი მანეთი გოსუდარის კასაშია სამკითხველოს გახსნამდი ჩარაზული.

პავ. კაცო, კაი იგი კვირიკეა თუ ვირიკე იმან და მისმა გაზეთმა სიმართლე რომ სთქვან გიკვირდეს, ტყუილი რა საკვირველია, მარა აი, პატივი აქა და კორესპონდენტი ვინღაა?

გოგ. ა ჩემი სიკეთე, ვირიკეს კორესპონდენტი ვინ იქნება თუ არ ჯორიკე?! რავა შენ კი უნდა იცნობდე აგერ ერთი ყაზილარი რომაა:

თავ მჩატე, გულ-აგდებული,
კლასიდგან გამოგდებული,
უმუშიერი, ჩერჩეტი,
მძუგავი, ენა მეტეტი.

პავლ. ხა, ხა, ხა, ხა. ახლა კი მივხთი, მარა აი გამეცინა, რავა ზაზანდარსავით შეამკვე, მარა მოგიკვეტეს პავლე ვარესი თუ თქვას.

ვირიკე სწერს: ჩვენ მოდგმისავ,
შვილო კოკი ჯორიკეო,
ოღონდ ჯღაბნე დასელებზედ
თუნდ მთლად მოიჭორიკეო.

სილოვან და უროს ძალმა
შენ გაგზარდა ქოჩორაო,
ჩვენი ჩამომავლობის ხარ,
ჩემო კარგო ჩოჩორაო.

გაიზრდები რა იქნები,
ვენაცვლე შენს კიჭებსაო,
მე ყროყინსა შეგასწავლი,
სილოვან-კი—ტლინკებსაო.

გოგ. ხა, ხა, ხა, ხა. შენი ჯობს ძმაო შენი, „სპაკოი ნოჩ“.

პავლ. ხი, ხი, ხი, ხი. „დასვიდანიე“.

შხანკოლა.

მესტვირული

(ფოთისათვის*).

რამდენიც უნდა მაწვალონ
თუგინდ დამიცონ პირია,
მე მაინც მინდა მოვმართო
ჩემი ქამანჩა სტვირია...
ბოროტებისა მოშურნე
ამ დროში ყველგან ძვირია,
რომ ძმა ძმას ჰყიდის, დედა შვილს
მიტომ მეც მოვსთქვამ, ვსტირია...
არ დამეჩუტო ქამანჩავ
დროზე ვსთქვათ რის თქმაც გვჭირია,
მოდი მივადგეთ „უპრავას“
იქვე დაგვხთება გზირია,
ვკითხოთ სოლომონ გვასწავლოს
საამდროისო გმირია...
რომ გაისივა ჩინჩახვი
და გაიწითლა ცხვირია...
უთხრათ: დაფიქრდეს, ისწავლოს,
სინდისი უნდა გოგრასა
ქალაქის საქმეს მიხედოს
სჯობს „იმის“ არშიყობასა.

*) ამ მესტვირულის დაბეჭდვა სხვა-და-სხვა მიზეზების გამო დაგვიანდა. რედ.

იქვე არს ცნობილი „ბმირი“
როსტომაშვილი გვარათა,
ელექტრონისა სადგურის
დამფსები ძალის ძალათა...
საამდროისო მკლავაძეს,
სინდისი უღირს ჩალათა!

მარცხენა ჯიბის ტენგაში
ვგონებ ადარ ჰყავს ცალია
ეხლა მაგისა კბილები
ხალხისგან დანათვალია,
ველარ გარეცხავს მაგ საწყალს
ვგონებ რიონის წყალია
და ჩვენც მათრახი მივარტყათ,
ხტებოდეს როგორც კალია.
კოწიაც იქვე ჩამჯდარა,
ეგ აბრეშუმის ცალია,
საქართველოზე ფიქრებით
სახეზე მუდამ მწყრალია...

იქნებ მიხაკოს იკითხავთ
კისერი მოუღერია,
შნოზე გამძღარა ნაღლეტით
მუცელიც გაუბერია,
სიცრუე უყვარს ხონელსა
და სიმართლისა მტერია,
და რაღა გასაკვირია
ქანქარი თუ აქეს ბევრია,
ეხლა შევჩერდეთ ქამანჩავ
ვგონებ, რომ ზომიერია,
დანარჩენს შემდეგ ვასმინოთ
რაც დაგვრჩა დასამღერია.

ხვლიკი.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

ჭიათურა. მეზავოდე ბერენტი, თავისი ზავოდიდან დაბრუნებისას გაეკვეხა ხიდის ქვეშ. გამოწერილია ბერლინიდგან პარაკოზი, გამოსაყვანათ.

— „ჩისტილშჩიკი“ აისორი წაიკითხავს კვირას ლექციას შემდეგ ტემაზე: ვაქსი და მისი ჭიგიენური სარგებლობა და მაზი და მისი მავნებლობა ჩვენს საზოგადოებაში.

— რადგან თეატრში წარმოდგენები ჭიანურდება და ორშაბათ დილას უძნელდება „პოდრიაჩიკების“ ადრე ადგომა, რათა სასწორზე ადრე დაესწრონ მეურმეებს, დასმა კეთილ ინება და განიზრახა პიესების შემოკლება.

სატანა.

—

ბათუმი. ქან, შინ, წილ, კან, გან, სან, ან განყოფილების გამგეობამ უკვე დაავალა აქ მცხოვრებ მანდილოსნებს, რათა აღსდგენ და ჩამოიარონ მათხოვრებათ კარის-კარ. ესენი მოაგროვებენ ნივთებს 14 იანვრისათვის სალატარიოთ, რომლის ნაბავლით ისარგებლებს ე. წ. ბათუმის „ქართული შკოლა“. საუკეთესო მათხოვარს საუკეთესო ჯილდოს ჰპირდებიან ე. ი. სიკვდილის შემდეგ საუკეთესო შინაარსიან ნეკროლოგს.

— მასწავლებელმა ერმილე შარაშიძემ, ქალაქის თვით-მართველობას სთხოვა: თერთმეტი წლის სამსახურის გამო, ცოტა ჯამაგირი მომიმატეთო. როგორც ამბობენ, თვით გამგეობას თხოვნა შეუწწყარებია, მარა არა ჯამაგირის მხრივ, არამედ 50 მოწაფის მომატებით.

— „ბათუმის გაზეთში“ კორეკტურული შეცდომები, როგორც იყო შემცირდა. ჯერ-ჯეჯობით თვითეულ №-ში 600-დეა, მოსალოდნელია 1000-ც ავიდეს.

ბალჯანია.

(ზეინების საგენტო)

ფოთი. ამა წლის 47 დეკემბრისთვინ დანიშნულია ჩვენი თანამემამულე უნიკიერეს მგოსნის ლ. გეგეკორის იუბილე, მისი 30 წ. სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავათ. ყურება უფასოა.

— აქაურ მამულიშვილებმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს „ერის“ რედაქციას: „დიდათ აღვაშფოთა პოლიტეხნიკუმის ნავთლუღში გადატანამ. სასტიკ პროტესტს უცხადებთ სომეხთა პლუტოკრატიას შოვინისტურ ინიციატიბისათვის“. მამულიშვილთა მონდობილობით ნ. ეღენტი.

ოზურგეთი. ვასილმა გამოსათხოვარი პანაშვიდი გადაიხადა ქალაქის აფთიაქის გახსნის გამო. პანაშვიდს დაესწრნენ: ახალგაზრდა აქიმი არსენი, ხურნაგიული ექიმი იაგორ და ცნობილი პირები— სეტო, ნესტორი, დიტო, კოწო და ფეხუცა სპეციალისტი კოლია.

ნატანები. სიმონის ყაკახანაში სეზონი უკვე გაიხსნა, ლექტორები ჩამოვიდენ.—ლექციებს ზოგიერთი ხე-ტყის მუშები დიდ თანაგრძნობას უცხადებენ.

(წულკავის საგენტო)

ოზურგეთი. ანტიპარეს მკლავაძისტების პარტიამ შემდეგი მოწოდება გამოუშვა: „შემოკრბით ყველამ გახსაკუთრებით ქალებმა, ჩვენს დროშის ქვეშ, რომლებიც პრესისაგან ხართ შეკბენილნი, ჩვენ ეკისრულობთ თქვენს პატრონობას“. ხელს აწერს პარტიის ნაფიცი ვეკილი: გერმანე *I.*

— დღეს სამკითხველოს დაკეტვის დროს ვნახეთ შიგ „ბიბლიოტეკარშა“, რადგანაც სიცივეები დაიწყო სამკითხველოში იჯდა.

„სატანას“ სიმღერა.

ჩემო კარგო ქიათურავ
რაზედ მოგიწყენია?
ახლები თუ ღალატობენ,
ძველები ხომ შენია?!
სადგურზედა გამოსულან
ქალები და ძენია,
ბევრი მათში იპოვება
საიმედო გენია,
თუმცა ეხლა ღალატობენ,
ბოლოს მაინც შენია;
გონზე მოვლენ, ეგ სიგიჟე
დროებითი სენია.

ჩემო კარგო სამფლობელოვ
რაზედ მოგიწყენია?!
აი, თუნდა ეს ყმაწვილი
დროით განაცდენია,
დღეს გ.......ას შეუპყრია,
ხვალ ცოდე შენია,
ოღონდ თქვენი „კუდინისა“
გახდეს შენაძენია...
რა უყოთ, რომ ყველას მოსწონს
მისი ნაზი ფერია,
მალე წავა, ნუ გახდებით
ერთმანეთის მტერია...

შენ კი ჩემო ჯოჯოხეთო,
რაზედ მოგიწყენია!
ეშმაკმა თუ გიღალატა,
სატანა ხომ შენია?!.
ან თუნდა ეგ ჯორჯალაძე,
ხომ გამოსაჩენია?
ბაქანზედა მუხლ-მოდრეკილს,
ნუ თუ არა სცხვენია?
ერთ ქალიშვილს ევედრება:
(ალბათ თუ აწყენია)
„მაპატიე შენ ქალწულო,
ან მომისპე დღენია“...

ორთავ თვალის სინათლეო,
რაზედ მოგიწყენია!
თუ ცოცხლები ღალატობენ,
ეს „მჩვარი“ ხომ შენია?!
სამკითხველოს გაურბიან
თუმცა ეგ საწყენია,
მაგრამ მითხარ ეს ქვეყანა
აბა ვის შერჩენია?
ძველი წიგნების ფურცვლაში
უნდა მოვსპოთ დღენია?
წუთი სოფლად სიხალისის
მეტი რა დაგვრჩენია,
შორს წიგნები, გაზეთები,
ქლექის შესაძენია;
ისევ ღვინო და ქალები
ქვეყანას მირჩევნია.

ჩემო კარგო ჯურღმულეთო,
რაზედ მოგიწყენია,
გახალისდი, ამის შემდეგ
ნუ თუ არა გრძხვენია?!
იქნებ „შანტაჟისტობამა“
შეგიცვალა ფერია?
ეგ მოვლენა სხვაზე უფრო
შენი შესაფერია;
ამისათვის ნუ იდარდებ,
მაგი არაფერია;
მაშ იმღერე გენაცვალე,
დაალონე მტერია.

სატანა

დაბა სოფლები

ქ. ბათუმი. ქუთაისიდან გვესტუმრა
მანდილოსანი ზრდილია,
სახელ-განთქმული ექიმი,
ყველაფრით გამოცდილია.

„დიპლომი“ თუმცა არ ჰქონდა,
„რეკლამა“ კარგი ჰქონია!
„ხირურგიჩესკიც“ კი იყო,
„ვენერიჩესკიც“ მგონია.

თავის ტკივილსაც არჩენდა
ან თუ გიწუხდა გულია,
იმის წამალსაც გაძლევდა
თუ გწვავდა სიყვარულია!

შვილის ასაყოლ წამლისთვის
სახელი ჰქონდა განთქმული!
და უშვილობის წამალიც,
ქვაბებით ჰქონდა დადგმული.

მოასკდა ხალხი ბუზივით
სნეულნი ერთობ ჯარია;
გონებით სუსტნი რომ ნახა
გაუღო იმანც კარია.

იმ უშვილობის წამლისთვის
ბარიშნებია მოსული;
ვაჟებთან ნახუნტრუცევი
ისე უქმაროდ ორსული!

ზოგს კუჭი სტკივა, ზოგს თავი
ამისგან ელის შვებასა,
ზოგს თავზე თმაი არა აქვს
ნატრულობს განკურნებასა!

გულში იცინის ელენე
რომ ნახა ხალხი ამგვარი,
ყველას ზრდილობით ემყრობა
ბლომათ იჯიბა ქანქარი.

მხოლოდ წამალმა ვერ გასჭრა!
არიან ისევ ავათა,
ბევრმა ფულებიც დაჰკარგეს
სტირიან საცოდავათა.

ის ქალბატონიც გაიქცა
ეტყობა ჭკუა ჰქონია,
იმდენი ფული წაიღო,
ის ახლაც მირბის მგონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჩანს ამ ქალბატონს სცოდნია
ქანქარის შექმალცუნება,
მაგრამ ჩვენც ვიცით, მათრახის
მირტყმა და მიტკაცუნება.

ისკანდერ.

—

ქ. ბაქო. (სპარსელთა ტანჯვის დღეობა).

„შახ-უსეინ, ვახ უსეინ“,
იძახოდენ სპარსელები,
მოწინავე რიგსა ეცვა
ტანთ შავი სამოსელები!
განზე მოლა მოჰყვებოდა,
მოყვანილი და დიდ წვერა,
თავის ჩეხის მოქადაგე,
მატყუარა, გაიძვერა!
შემდგა მოლა — სთქვა რაღაცა,
ზე აღაპყრო მან ხელები!
შახ-უსეინ, ვახ-უსეინ
დატრიალდნენ სპარსელები!
ნიშნათ რჯულის დასაცავათ
იჩეხავდნენ ხანჯლით თავებს
და სისხლი გადმოსდიოდათ
ღია მკერდზე საცოდავებს.
მდიდრები კი ფანჯრებიდან
ნახულობდენ თვალის სეირს,
ბედნიერნი არ ეძებდა
არც შახსა და არც უსეინს.
სულელია, ამშარებთან
გაიჩეხოს ბეგმა თავი?
რა დაკარგა, რა ეძიოს,
ან რაი აქვს სანახავი?!!
რჯული აძლევს საშვალებას —
იქირაოს ფულით მუშა,
მის სახელზე თავს გაიჩეხს!
თუ წამლებმა მოუშუშა,
ხომ კარგია...და თუ მოკვდა
(ეშმაკი ვერ დააკავებს,
სამოთხეში შევა და იქ
ნახავს ათას სანახავებს!)
მოლაც ასე უქადაგებს:
„ცხონდება, ვინც დღეს მოკვდება,
მას სამოთხის კარების წინ
მაჰმედი შემოხვდება!
და წაიყვანს სამოთხეში,
ძირს დაუფენს ოქროს ფარდაგს,
მას ზედ დასვამს, არ მოაკლებს —
შირინ ჩაის და ტკბილ ბადაგს“.
ამნაირად სტყუა მოლა,
თვალს გადაჰკრავს ჰაჯს და ამქრებს
და აგროვებს თავ-გაჩეხილ
მუშებიდან კიდევ ქანქრებს!
რჯულიც მათ მტრობს, მოლაც, ბეგიც
ჩაგრავენ და აგინებენ,
მაგრამ მრწამს, რომ დადგება დრო
თავს იცნობენ, შეიგნებენ:
დაჰგმობენ ამ ჩვეულებას,
თანაც მოლალას თავ-ლახანას;
მაგარ სილას გააწვნიან,
თელერანს და ბალახანას
და ეტყვიან: „დალოცვილნო,
თვით იჩეხეთ თავებიო,
თუ რომ გინდათ სამოთხე და
მისი სანახავებიო!“.

ვაშა-ბაქურა.

წერილი რედაქციას.

ბ-ნო რედაქტორო! რადგან ალმანახი „ჭინჭარი“ ყოველ-კვირეულად არ გამოდის და მე-კი ერთ კვირაში მთხოვდენ პასუხს, ამიტომ ნება მომეცით თქვენი ჟურნალ „მათრახის“ საშვალებით მოკლე პასუხი მოვახსენო ალმასხან კალანდაძეს: თუ ასესხეთ გაიხსენეთ და თქვენ იქნებით, თუ არა და — სხვა.

— ბ.

„მათრახის“ ფოსტა.

„ს ა თ ა ე ლ ს“. თქვენს ბოლოხნდელს გამოგზავნილს კუპლეტებს ვერ დავბეჭდავთ, რადგან პირველმა კუპლეტების იმ ადგილმა, რომელიც ეხებოდა ვლ. ბ-ს, მეტად უსიამოვნება გამოიწვია. როგორც სჩანს არავითარი იმგვარი არ მომხდარა, რასაც თქვენ იმ პირს აბრალებდით და რაღაც კერძო ინტერესებით გიმოქმედნიათ. მოიწერეთ განმარტება დაუყოვნებლივ.



ჩვენი „უჩენიკები“.

ელექტრო-მბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.   რედ.-გამომც. თ. ბოლქვაძე